# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №48

(საქონლის შესყიდვა)

შ.პ.ს. „ქალაქტრანსპორტი„ 28 ნოემბერი 2015 წელი

1.ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ფოთიქალაქტრანსპორტი„ შემდეგში „შემსყიდველი", დირექტორი ბადრი ასათიანის სახით, მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ქეფთანი„ შემდეგში „მიმწოდებელი" დირექტორის ლევან ნემსაძის სახით - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„გამარტივებული შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საქონლის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5 000 ლარს.

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება - საბურავის საკერებელი

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2.3შესყიდვის კატეგორია-**19500000**–რეზინის პროდუქცია. (იხილეთ დანართი №1) .

ქვეკატეგორიის კოდი (CPV) კოდი - **19513200** საბურავის საკერებელი

## 3. ხელშეკრულების საფასური და ანგარიშსწორების წესი:

1.1. შ.პ.ს. „ქეფთანი"ს ამ ხელშეკრულებით მიწოდებული საქონლის თანხა შეადგენს 4,00(ოთხ) ლარს;

1.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის საბოლოო ანაზღაურება განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

## 2. მხარეთა პასუხისმგებლობა:

2.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი მხარე დაზარალებულ მხარეს მიყენებულ ზარალს აანაზღაურებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2.2. მხარეთ ქონებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა არ შეიძლება აღემატებოდეს მათი მიზეზით ფაქტობრივად მიყენებული ზიანის ოდენობას;

## 3. ფორს-მაჟორი:

3.1. ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრლების პირობების შეუსრულებლობა, არასათანადოდ შესრულება ან დარღვევა და არ გამოიწვევს ზიანის ანაზღაურებას;

3.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველის "ან/და„მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;

## 4. დავის გადაჭრის წესი:

4.1. ამ ხელშეკრულების შესრულების დროს მხარეებს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;

4.2. მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცეს საქართველოს საერთო სასამართლოს.

## 6.ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები:

7.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების დადგენილი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე 2016 წლის 28 დეკემბრამდე.

## 7.გარდამავალი და დასკვნითი დებულებები:

8.1. ამ ხელშეკრულებაში დამატებები და ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს წერილობითი ფორმით და ძალაში შედის მხოლოს ორივე მხარის სრულუფლებიან წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერის დღიდან;

8.2. ამ ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, იგი კარგავს ძალას, და მოქმედებას აგრძელებს ძალადაუკარგავი მუხლები დაპუნქტები;

8.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ერთი ინახება „შემსყიდველთან", მეორე - „მიმწოდებელთან"

## 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა:

,,შემსყიდველი"

შ.პ.ს. ,,ფოთიქალაქტრანსპორტი,,

დირექტორი: ბადრი ასათიანი

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№-12
სს ,,ლიბერთი ბანკი"

ა/ა GE29LB0115113951829000,
ს/კ № 215131569 ბ/კ LBRTGE22

,,მიმწოდებელი"

შ.პ.ს. ,,ქეფთანი,,

დირექტორი: ლევან ნემსაძე

მის: ქ. თბილისი ორხევი, ჩანტლაძის ქ №15
სს ,,თიბისი ბანკი"

ა/ა № GE60TB0414736020100002,
ბ/კ TBCBGE22, ს/კ №206343606

დანართი №1

საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი

| | კატეგორია | საქონლის დასახელება | განზომილება | საქონლის რაოდენობა | ერთეულის ფასი ლარებში | საერთო ღირებულება ლარებში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 19513200 | საბურავის საკერებელი | ცალი | 1 | 4.00 | 4.00 |
| | | | | | | |
| | | ჯამი: | | | | 4.00 ლარი |

„შემსყიდველი"

შ.პ.ს. „ფოთიქალაქტრანსპორტი„

დირექტორი: ბადრი ასათიანი

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№-12
სს „ლიბერთი ბანკი"

ა/ა GE29LB0115113951829000,
ს/კ № 215131569 ბ/კ LBRTGE22

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „ქეფთანი„

დირექტორი: ლევან ნემსაძე

მის: ქ. თბილისი ორხევი, ჩანტლაძის ქ №15
სს „თიბისი ბანკი"

ა/ა № GE60TB0414736020100002,
ბ/კ TBCBGE22, ს/კ №206343606